შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის

დირექტორის ბრძანება

19/02/2026

№ 00003287

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული პროგრამის იმ კომპონენტის/კომპონენტების, რომელთა დისტანციურად სწავლება ან/და შეფასება შესაძლებელია დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესის ეტაპებზე, პროცესში ჩართულ პირთა მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების, ასევე, დისტანციური სწავლებისა და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №143/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 19 ნოემბრის N131/ნ ბრძანების და შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის წესდების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული პროგრამის იმ კომპონენტის/კომპონენტების, რომელთა დისტანციურად სწავლება ან/და შეფასება შესაძლებელია დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესის ეტაპებზე, პროცესში ჩართულ პირთა მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების, ასევე, დისტანციური სწავლებისა და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს "შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული პროგრამის იმ კომპონენტის/კომპონენტების, რომელთა დისტანციურად სწავლება ან/და შეფასება შესაძლებელია დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესის ეტაპებზე, პროცესში ჩართულ პირთა მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების, ასევე, დისტანციური სწავლებისა და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესაცებ" შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის N27767 ბრძანება.
3. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კერძო კოლეჯების ასოციაცია
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი
დირექტორი
სუხიშვილი სოფიო

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში დისტანციური სწავლების, შეფასების და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე წესი არეგულირებს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის (შემდგომში კოლეჯი) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მომზადება და გადამზადების პროგრამების კომპონენტის/კომპონენტების დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესის ეტაპებს, შეფასების მექანიზმებს, პროცესში ჩართულ პირთა მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, ასევე, დისტანციური სწავლებისა და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებს.

1.2. წესი შემუშავებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №143/ნ ბრძანების საფუძველზე და მასთან სრული შესაბამისობით.

1.3. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განისაზღვრება პროგრამის ის კომპონენტი/კომპონენტები, რომელთა დისტანციურად სწავლება ან/და შეფასება შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იმ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ფარგლებში, რომლებიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს.

მუხლი 2. დისტანციური სწავლება და მისი ფორმები

1. დისტანციური სწავლება გულისხმობს სრულად თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესს, მის დისტანციური/ელექტრონული ფორმით, ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართვას.

2. დისტანციური სწავლება ხორციელდება სინქრონული ან ასინქრონული კომუნიკაციის ფორმით.

- **სინქრონული კომუნიკაცია** გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება;
- **ასინქრონული კომუნიკაცია** ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს არ ხორციელდება.

მუხლი 3. დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესი და შეზღუდვები

1. დისტანციური სასწავლო პროცესს ადმინისტრირებას უწევს სასწავლო პროცესის მენეჯერი;

2. სასწავლო პროცესის მენეჯერი ახორციელებს დისტანციური საგაკვეთილო პროცესზე ზედამხედველობას:

- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა/პროფესიული განათლების მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესზე დროულად დასწრების შეფასებას;
- საგაკვეთილო ჩანაწერების მიწოდებას პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელებისთვის;
- საჭირო სასწავლო მასალების ელექტრონულ პლატფორმაზე ხელმისაწვდომობის შეფასებას;
- გაკვეთილის ელექტრონულ რეჟიმში მიმდინარეობის ტექნიკური გამართულობის შეფასებას.

3. IT სპეციალისტი კოლეჯის პროფესიული განათლებლების მასწავლებელებს /განმახორციელებელი პირებს, პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს, პროგრამების ხელმძღვანელებს და სასწავლო პროცესის მენეჯერს უწევს ტექნიკურ მხარდაჭერას და კონსულტაციას ელექტრონულ პლატფორმის გამოყენების თაობაზე და სასწავლო პროცესის ორგანიზების მიზნით.

4. ელექტრონული პლატფორმების გამოყენების თაობაზე პროფესიული სტუდენტთა/მსმენელთა ინფორმირების მიზნით კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი უზრუნველყოფს მათ რეგისტრაციას საერთო პლათფორმაზე სადაც პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს მიეწოდებათ ვიდეო ინსტრუქცია და შეხვედრის ლინკი.

5. ინტერნეტზე მუდმივი წვდომის არმქონე პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი ახდენს საგაკვეთილო ჩანაწერების ელექტრონულ პლატფორმაზე ატვირთვას და პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელებისთვის მიწოდებას. პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს ეძლევათ შესაძლებლობა მეილის საშუალებით მისწერონ კითხვები პროფესიული განათლების მასწავლებელს და მიიღონ შესაბამისი პასუხები.

6. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასება ხორციელდება კოლეჯში საკლასო აუდიტორიაში, კოლეჯი ამ შემთხვევაში მოქმედებს სასწავლო მარეგულირებელი დებულების თანახმად მოქმედი შიდა რეგულაციით.

მუხლი 4 . დისტანციური სწავლების ადმინისტრირება

1. კოლეჯი სწავლების დაწყებამდე გამოკითხვის შედეგად ახორციელებს იმ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა /განმახორციელებელ პირთა/პროფესიული განათლების მასწავლებელთა იდენტიფიცირებას, რომელთაც არ აქვთ სათანადო ტექნიკური რესურსი და აღჭურვილობა ან/და წვდომა ინტერნეტთან სასწავლო პროცესში სრულფასოვნად და აქტიურად ჩართვის მიზნით, შესაბამისად, დარჩნენ დისტანციური სწავლების პროცესში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის გარეშე.

2. სათანადო რესურსების არმქონე და დისტანციური სწავლების პროცესში მიღმა დარჩენილ პროფესიული სტუდენტებს/ მენემელებს/ პროფესიული განათლების

მასწავლებელბს/განმახორციელებელ პირებს კოლეჯი უზრუნველყოფს მათი დისტანციურად სასწავლო პროცესში ჩართვას კოლეჯის სასწავლო გარემოში.

3. ელექტრონული პლატფორმის გამოყენების შესახებ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და ასევე ადმინისტრაციული პერსონალის ინფორმირების მიზნით კოლეჯის პერსონალის მართვის მენეჯერი ახდენს მათი ტრენინგების უზრუნველყოფას, ასევე ხარისხის მენეჯერი ახდენს გზამკვლევების, ინსტრუქციების შემუშავებას.

4. დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ტექნიკური ბაზის მომზადებისა და სწავლების დისტანციურად განსახორციელებლად საჭირო დატვირთვის უზრუნველსაყოფად ხდება ინფორმაციის განთავსებისა და ელექტრონული მასალების შენახვისთვის საჭირო სივრცის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში ელექტრონული მასალების განსათავსებლად საჭირო სივრცის გაზრდა.

5. დისტანციური სწავლების დროს გაკეთებული ჩანაწერები ინახება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების დამთავრებამდე.

მუხლი 5 . დისტანციური სწავლების საგაკვეთილო პროცესის განხორციელება

1. დისტანციური სასწავლო პროცესის წარმართვისა და დისტანციური სასწავლო რესურსების გამოყენების მიზნით კოლეჯი ახდენს ელექტრონული პლატფორმების გამოყენებას. კერძოდ, ელექტრონული პლატფორმა, Zoom.us/meet.google.com/Teams გამოიყენება დისტანციური საგაკვეთილო პროცესისათვის.

2. პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის განმახორციელებელი პირი ვალდებულია დისტანციური სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით:

- შეიმუშაოს დისტანციური სწავლებისა და მიდგომების გამოყენებით მოქნილი კალენდარული გეგმა და წარუდგინოს სასწავლო პროცესის მენეჯერს სასწავლო მარეგულირებელი დებულებით განსაზღვრულ ვადებში;
- ჩაატაროს მეცადინეობა სწავლის შედეგების შესაბამისად;
- განახორციელოს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების დასწრების აღრიცხვა;
- მოამზადოს საპრეზენტაციო სასწავლო მასალები;
- უზრუნველყოს ჩართვა ვიდეო ჩაწერის ავტომატურ რეჟიმში ჩასაწერად;
- უზრუნველყოს ინტერაქცია და ჩართულობა პროფესიული სტუდენტების/მსმენელების;
- ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში 10 წუთის შემდეგ აცნობოს სასწავლო პროცესის მენეჯერს და მასთან შეთანხმებით მეცადინეობა გადაიდება ან ინიშნება აღდგენა.

3. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია დისტანციური სასწავლო პროცესზე დასწრების მიზნით:

- გაეცნოს დისტანციური სასწავლო პროცესის მიდგომებს;
- დაესწროს დისტანციური სასწავლო პროცესს;
- იყოს ჩართული დისტანციური სასწავლო პროცესში აქტიურად;
- ჩართული ქონდეს კამერა დისტანციური სასწავლო პროცესის დროს;
- არ შეუშალოს ხელი დისტანციური სასწავლო პროცესის წარმართვას.

მუხლი 6. სასწავლო რესურსები

1. კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო სასწავლო რესურსის ელექტრონული ფორმით პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისათვის მიწოდებას შესაბამისი ელექტრონული პლატფორმის (googleclassroom) საშუალებით.
2. პროფესიული სტუდენტების/ მსმენელების პლათფორმაზე რეგისტაციას ხელმისაწვდომობას, კონსულტირებას ახორციელებს კოლეჯის ბიბლიოთეკარი.

მუხლი 7. პერსონალური მონაცემების დაცვა

1. ონლაინ შეხვედრების, დისტანციური სწავლების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეო გამოსახულება) წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემებს, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მათი გასაჯაროებისას. დისტანციური სწავლების პირობებში, საჯარო სივრცეში ონლაინ სასწავლო პროცესის ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალის უნებართვოდ გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, კოლეჯი უზრუნველყოფს თითოეული მხარის ინფორმირებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობის შესახებ. კოლეჯის მხრიდან საჯარო სივრცეში პერსონალური მონაცემების შემცველი ფოტო/ვიდეო მასალის განთავსება ხდება მხოლოდ პროფესიული სტუდენტის/მსმენელის /პროფესიული განათლების მასწავლებლის / პროგრამის განმახორციელებელი პირის თანხმობის შემთხვევაში.
2. პირის პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, კოლეჯი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მეშვეობით იღებს ვალდებულებას ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით გააცნოს პროფესიულ სტუდენტის/მსმენელის /პროფესიული განათლების მასწავლებლის / პროგრამის განმახორციელებელი პისრის ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემს ან/და მის ინტელექტუალურ საკუთრებას (დისტანციურად მიმდინარე სასწავლო პროცესის ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა) და ამასთანავე, აცნობს მონაცემების დაცვის ვალდებულებას. ელექტრონულ პლატფორმაზე წვდომით, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი /პროფესიული განათლების მასწავლებელი / პროგრამის განმახორციელებელი პირი იზიარებს და თანხმდება, რომ მონაცემების დამუშავება, შენახვა და გავრცელება გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას.
3. პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვის, ფიზიკური პირის უფლებების დაცვის საკითხი რეგულირდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკით“.
4. კოლეჯი იტოვებს უფლებას ონლაინ შეხვედრების, დისტანციური სწავლების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეო გამოსახულება) გამოიყენოს მხოლოდ ხარისხის უზრუნველყობის მიზნით, დავების გადაწყვეტისა და ავტორიზაციის პირობების შესრულების დასადასტურებლად, ასევე კოლეჯის საიმიჯო ინფორმაციის გავრცელების მიზნით (იხ.დანართი 5).

მუხლი 8. დისტანციური სწავლებისა და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები

1. დისტანციური სწავლებისა და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები სრულ თანხვედრაშია კოლეჯში ჩამოყალიბებულ ხარისხის კულტურასთან.
2. დისტანციური სწავლების პროცესის მიმდინარეობის შეფასების მიზნით ხარისხის მენეჯერი ახორციელებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული სტუდენტების/ მსმენელების გამოკითხვას, სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების

შეფასებისა წინასწარ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით, რომელიც წარმოადგენს ამ წესის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი 1,2,3,4).

2.1 **განმახორციელებელი პირის მიერ** გამოკითხვის შედეგად ფასდება: გაკვეთილის მიმდინარეობა, გაკვეთილის მიმდინარეობის ტექნიკური უზრუნველყოფა, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი, ინტერაქციის ხარისხი, სასწავლო პროცესში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მონაწილეობა და ჩართულობა, კოლეჯის ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერის შეფასება. მონიტორინგის ანგარიში იგზავნება კოლეჯის დირექტორთან; გამოკითხვის შედეგების დამუშავების საფუძველზე გამოვლენილი საყურადღებო საკითხები, შემუშავებული რეკომენდაციები ეგზავნება შესაბამის პირებს რეაგირებისთვის სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით

2.2. **პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მიერ** გამოკითხვის შედეგად ფასდება გაკვეთილის მიმდინარეობა, გაკვეთილის მიმდინარეობის ტექნიკური უზრუნველყოფა, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი, ინტერაქციისა და ჩართულობის შესაძლებლობა, განმახორციელებელი პირის მხრიდან ელექტრონული პლატფორმების გამოყენების ეფექტიანობა,განმახორციელებელი პირის მიერ ელექტრონული პლატფორმის საშუალებით გამოყენებული აქტივობები და დავალებების ეფექტიანობა, კოლეჯის ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერა. მონიტორინგის ანგარიში იგზავნება კოლეჯის დირექტორთან; გამოკითხვის შედეგების დამუშავების საფუძველზე გამოვლენილი საყურადღებო საკითხები, შემუშავებული რეკომენდაციები ეგზავნება შესაბამის პირებს რეაგირებისთვის და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

3. დისტანციური სწავლების თავისებურებების გათვალისწინებით კოლეჯის ხარისხის მენეჯერი ახორციელებს: სინქრონული live მონიტორინგს (ე.წ. „ფარული სტუდენტი“); ვიდეო საგაკვეთილო ჩანაწერების მონიტორინგს; პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა/პროფესიული განათლების მასწავლებელთა/განმახორციელებელ პირთა დასწრების/აქტივობების მონიტორინგი. მონიტორინგის ანგარიში იგზავნება კოლეჯის დირექტორთან; გამოკითხვის შედეგების დამუშავების საფუძველზე გამოვლენილი საყურადღებო საკითხები, შემუშავებული რეკომენდაციები ეგზავნება შესაბამის პირებს რეაგირებისთვის სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით

დანართი N1 - სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასების ფორმა

(პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება			
მოდული/სწავლის შედეგი			
პროფესიული განათლების მასწავლებელი /განმახორციელებელი პირი			
დაკვირვების თარიღი:			
დროულად ჩაერთო თუ არა შეხვედრაზე/ ჩაატარა თუ არა ყველა გაკვეთილი	დიახ		არა
ინტერაქციული იყო თუ არა შეხვედრა	დიახ	ნაწილობრივ	არა
გამოვლინდა თუ არა ტექნიკური ხარვეზები მსვლელობისას	დიახ		არა
მიეწოდათ თუ არა პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს წინასწარ სასწავლო რესურსი	დიახ		არა
იწერდა თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებელი/ განმახორციელებელი პირი დისტანციურ საგაკვეთილო მიმდინარეობას	დიახ		არა
ლექციის მიზანი მკაფიოდ არის განმარტებული	დიახ	ნაწილობრივ	არა
გამართული მეტყველება და მსმენელთან კომუნიკაცია	დადებითი	საშუალო	არადამაკმაყოფილებელი
გამოყენებულია აქტიური სწავლების მეთოდები:	დიახ	ნაწილობრივ	არა

დანართი N2 - სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასების ფორმა

(პროფესიული სტუდენტი/მსმენელი)

	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება						
	მოდული/სწავლის შედეგი						
	დაკვირვების თარიღი:						
	პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სახელი გვარი	დროულად ჩაერთო გაკვეთილზე	დაგვიანებით ჩაერთო გაკვეთილზე	გამოვლინდა ტექნიკური ხარვეზები	აქტიურად ჩართული ონლაინ საგაკვეთილო პროცესში	ნაკლებად ჩართული ონლაინ საგაკვეთილო პროცესში	არ იყო ჩართული ონლაინ საგაკვეთილო პროცესში
1							
2							

დანართი 3. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის კმაყოფილების კითხვარი

გთხოვთ შეავსოთ კითხვარი. თქვენი რჩევები და რეკომენდაციები ჩვენთვის ღირებულია. გამოკითხვის პროცესში თქვენი მონაწილეობა დაგვეხმარება სასწავლო პროცესების უკეთ ორგანიზებაში და მომავალში პროცესების ხარვეზების გარეშე წარმართვაში.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის, ღირებული რეკომენდაციებისთვის და სასწავლო პროცესების დახვეწის პროცესში შეტანილი წვლილისთვის!

1. გაქვთ თუ არა შესაძლებლობა (საჭირო პირობები: ინტერნეტი, კომპიუტერი) იმისათვის, რომ დაესწროთ დისტანციურად ჩატარებულ ლექციებს? (თუ თქვენი პასუხია დიახ, გთხოვთ გააგრძელოთ კითხვარის შევსება)
   - დიახ
   - არა
   - ზოგჯერ
2. გთხოვთ შეაფასოთ დისტანციურად ჩატარებული გაკვეთილი
   - გაკვეთილი მიმდინარეობს ძალიან კარგად
   - გაკვეთილი მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად
   - გაკვეთილი მიმდინარეობს ცუდად
   - სხვა, გთხოვთ დააკონკრეტოთ
3. თვლით თუ არა, რომ დისტანციურად მიმდინარე გაკვეთილების ფარგლებში აღწევთ სწავლის მიზნებსა და შედეგებს?
   - სრულად ვაღწევ
   - ნაწილობრივ ვაღწევ
   - ვერ ვაღწევ
4. იმ შემთხვევაში, თუ კი თქვენი პასუხია „ვერ ვაღწევ“ ან „ნაწილობრივ ვაღწევ“, გთხოვთ დააკონკრეტოთ, თქვენი აზრით რა არის საჭირო შედეგების გასაუმჯობესებლად?----------
5. პროფესიული განათლების მასწავლებელი / განმახორციელებელი პირი მკაფიოდ ხსნის მასალას: 1 2 3 4 5
6. არის თუ არა დისტანციურად ჩატარებული ლექციები ინტერაქციული?
   - დიახ
   - არა
7. იყენებს თუ არა ლექტორი ელექტრონულ პლატფორმას ეფექტურად?
   - o დიახ
   - o არა
8. სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია Googleclassroom პლათფორმაზე: 1 2 3 4 5
9. კოლეჯის ადმინისტრაცია მიწევს ტექნიკურ მხარდაჭერას დისტანციური სწავლების დროს: 1 2 3 4 5
10. დისტანციურ საგაკვეთილო პროცესში ჩართვა მარტივია: 1 2 3 4 5
11. პროფესიული განათლების მასწავლებელი / განმახორციელებელი პირსგან ვიღებ კითხვებზე პასუხს და უკუკავშირი დროულია: 1 2 3 4 5
12. შეაფასეთ საერთო კმაყოფილება: 1 2 3 4 5
13. რა მოგეწონათ ყველაზე მეტად?----------
14. რას შეცვლიდით? ----------
15. საგაკვეთილო პროცესზე დასწრების (%) მაჩვენებელი : 100% 80% 50% 10%
16. დასწრების მაჩვენებელი: _____

17. იყენებთ თუ არა დისტანციური გაკვეთილის ჩანაწერს სასწავლო მიზნებისათვის:
    - ❖ დიახ
    - ❖ არა
    - ❖ იშვიათად
18. რას გვირჩევდით, რომ გავითვალისწინოთ შემდეგი შეხვედრების უკეთესად წარმართვისთვის?

დანართი N4 - დისტანციური სწავლების პროფესიული განათლების მასწავლებელთა / განმახორციელებელ პირთა მიერ შეფასების კითხვარი

გთხოვთ შეავსოთ კითხვარი. თქვენი რჩევები და რეკომენდაციები ჩვენთვის ღირებულია. გამოკითხვის პროცესში თქვენი მონაწილეობა დაგვეხმარება სასწავლო პროცესების უკეთ ორგანიზებაში და მომავალში პროცესების ხარვეზების გარეშე წარმართვაში.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის, ღირებული რეკომენდაციებისთვის და სასწავლო პროცესების დახვეწის პროცესში შეტანილი წვლილისთვის!

საგანმანათლებლო პროგრამა რომელზეც ასწავლით:

_____

1. გთხოვთ შეაფასოთ დისტანციურად ჩატარებული გაკვეთილი

 გაკვეთილი მიმდინარეობს ძალიან კარგად

 გაკვეთილი მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად

 გაკვეთილი მიმდინარეობს ცუდად

 სხვა, გთხოვთ დააკონკრეტოთ

_____

2. თვლით თუ არა რომ დისტანციურად ჩატარებული გაკვეთილის ფარგლებში საერთო ჯამში მიაღწიე პროგრამით განსაზღვრულ სწავლის მიზნებსა და შედეგებს?

 სრულად მივაღწიე

 ნაწილობრივ მივაღწიე

 ვერ მივაღწიე

 სხვა, გთხოვთ დააკონკრეტოთ

---

3. თუ თქვენი პასუხია „ვერ მივაღწიე“ ან „ნაწილობრივ მივაღწიე“, გთხოვთ დააკონკრეტოთ რა არის საჭირო შედეგების გასაუმჯობესებლად?----------
---

4. თვლით თუ არა რომ ადმინისტრაციის მხრიდან გჭირდებათ გარკვეული მხარდაჭერა დისტანციურად ჩატარებული შეხვედრების უკეთ წარმართვისთვის
 დიახ არა
5. თუ თქვენი პასუხია დიახ, გთხოვთ დააკონკრეტოთ რა ტიპის მხარდაჭერას ისურვებდით ადმინისტრაციიდან----------
---

6. თვლით თუ არა, რომ კოლეში მოქმედი სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის მხრიდან გჭირდებათ გარკვეული ტიპის ტრენინგები?
 დიახ არა
7. თუ თქვენი პასუხია დიახ, გთხოვთ დააკონკრეტოთ ტრენინგის თემატიკა:----------
---

8. გთხოვთ აღწეროთ იყო თუ არა რაიმე ტიპის ტექნიკური შეფერხება გაკვეთილის/ების მსვლელობისას და რა კუთხით?
9. როგორი იყო სტუდენტების/მსმენელების დისტანციურად ჩატარებულ ლექციაზე დასწრება?
    - ესწრებოდა ყველა
    - ესწრებოდა უმეტესობა
    - ესწრებოდა დაახლოებით ნახევარი
    - ესწრებოდა ძალიან ცოტა
10. როგორი იყო სტუდენტების/მსმენელების აქტიურობა და იყო თუ არა სტუდენტებთან/მსმენელებთან ინტერაქცია მარტივად შესაძლებელი?
---

11. რას გვირჩევდით, რომ გავითვალისწინოთ შემდეგი შეხვედრების უკეთესად წარმართვისთვის?

დანართი N5 - პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ინფორმირება პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ

გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

პერსონალური მონაცემი (შემდგომ – მონაცემი) – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით;

მონაცემთა დამუშავება – ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება.

დისტანციურ სწავლებაზე გადასვლიდან გამომდინარე, ონლაინ შეხვედრების, ონლაინ სწავლების ამსახველი მასალა (ფოტო-ვიდეო გამოსახულება) წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემს ან/და მის ინტელექტუალურ საკუთრებას. შესაბამისად, ვიღებ ვალდებულებას არ დავუშვა მათი გასაჯაროება (სოციალურ ქსელებში ონლაინ სასწავლო პროცესის, ონლაინ შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალის გამოქვეყნება და ა. შ.), ჩამოტვირთვა, არაუფლებამოსილი პირის დაშვება ან დამუშავება გავრცელების მიზნით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.
ვაცნობიერებ, რომ ჩემს მიერ მონაცემების დამუშავება, შენახვა და გავრცელება გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას.

პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ხელმოწერა